ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 49261213**

თარიღი:**01/05/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტის მურთაზი კვერნაძისათვის შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ “ საქართველოს კანონის 83-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **მურთაზი კვერნაძეს -** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით პოზიციაზე დასაქმებულ პირს **(მოწვეული სპეციალისტი საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში)** მხარეთა შეთანხმებით, გაუგრძელდეს შრომითი ხელშეკრულების ვადა, 2026 წლის 1 მაისიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2025 წლის 5 ნოემბრის №49.4925309001 ბრძანების საფუძველზე, დადებული შრომითი ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტში შევიდეს ცვლილება /თან ერთვის/, ხოლო მოქმედი ხელშეკრულების პირობები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს 2026 წლის 5 მაისიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

კობა გურეშიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ.წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27, ტელ: (0436) 22-50-03, ელ-ფოსტა:
TSKALTUBO.SAKREBULO@GMAIL.COM